სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

11 აპრილი, 2024 წელი

ბრძანება № 01-10/34

ბსუ-ს უცხო ენების მოკლევადიან საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის განსაზღვრის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, „ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 05 ოქტომბრის №02 გადაწყვეტილების, უწყვეტი განათლების მიმართულების კოორდინატორების დანიშვნისა და საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 11 ოქტომბრის №01-02/171 ბრძანების, ,,ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობისათვის 2023 წელს განსახორციელებელი ღონისძიების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 30 იანვრის N07-01/01 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს უწყვეტი განათლების მიმართულებით უცხო ენების შემსწავლელი მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 29 მარტის №01-02/42 ბრძანების, ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული ამოცანების - **ინტერნაციონალიზაციისა და პერსონალის განვითარების ხელშეწყობისათვის** 2024-2025 წლებში განსახორციელებელი ღონისძიების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი **საბჭოს 2024 წლის 03 აპრილის N07-01/31 გადაწყვეტილების,** ბსუ-ს უწყვეტი განათლების ცენტრის უცხო ენების შესწავლის მიმართულებით კოორდინატორის სამსახურებრივი ბარათის (№410647 10/04/2024) საფუძველზე

ვბრძანებ:

1. განისაზღვროს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის **უცხო ენების მოკლევადიან საგანმანათლებლო პროგრამაზე** (ინგლისური ენის, გერმანული ენის, ფრანგული ენის, თურქული ენის მოდულები) **სწავლის საფასურის ოდენობა** (მათ შორის შეღავათიანი საფასური - ბსუ-ს პერსონალისათვის) შემდეგნაირად:

	ზოგადი უცხოური ენის დონეები პროგრამები **ინგლისური** გერმანული, ფრანგული, თურქული	**საათების რაოდენობა** (კვირაში 2 ან 3 შეხვედრაზე სულ 5 საათის პირობებში)	ბსუ-ს პერსონალის მიერ გადასახდელი შეღავათიანი სწავლის საფასური (ბსუ-ს საშტატო ერთეულზე დასაქმებულისათვის/შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირისათვის)	**სწავლის საფასური (ლარი) თითოეული მოდულისათვის (ე.წ. გარე მსმენელისათვის)**	**მსმენელთა დასაშვები რაოდენობა ჯგუფში**

1	A2	60 სთ (დაახლოებით 3 თვე)	200 ლარი / 300 ლარი	400	6-12 მსმენელი
2	B1	80 სთ (დაახლოებით 4 თვე)	320 ლარი / 480 ლარი	700	6-12 მსმენელი
3	B2.1	120 სთ (დაახლოებით 6 თვე)	550 ლარი / 800ლარი 700 ლარი/ 700 ლარი	1400	6-8 მსმენელი 5 მსმენელი
4	B2.2	120 სთ (დაახლოებით 6 თვე)	550 ლარი / 800ლარი 700 ლარი/ 700 ლარი	1400	6-8 მსმენელი 5 მსმენელი
5	C1.1	100 სთ (დაახლოებით 5 თვე)	650 ლარი / 850 ლარი 850 ლარი /850 ლარი	1700	5-7 მსმენელი 4 მსმენელი
6	C1.2	100 სთ (დაახლოებით 5 თვე)	650 ლარი / 850 ლარი 850 ლარი /850 ლარი	1700	5-7 მსმენელი 4 მსმენელი
7	C2.1	100 სთ (დაახლოებით 5 თვე)	700 ლარი / 1100 ლარი 1100 ლარი /1100 ლარი	2000	4-6 მსმენელი 3 მსმენელი
8	C2.2	100 სთ (დაახლოებით 5 თვე)	700 ლარი / 1100 ლარი 1100 ლარი /1100 ლარი	2000	4-6 მსმენელი 3 მსმენელი

2. უცხო ენის მოკლევადიან საგანმანათლებლო პროგრამაზე დარეგისტრირებული მსმენელის (შემდეგში „მსმენელები“) მიერ **სწავლის საფასურის გადახდა** განხორციელდეს თანაბარწილადი შენატანით, შემდეგნაირად:

ა) საფასურის ნახევარი - მსმენელთან ხელშეკრულების დადებისთანავე, სწავლის დაწყებამდე;

ბ) საფასურის მე-2 ნახევარი - შესაბამის პროგრამის (კურსის) ნახევრის გასვლის შემდეგ.

3. უცხო ენის მოკლევადიან საგანმანათლებლო პროგრამაზე დარეგისტრირებული ბსუ-ს დასაქმებულისათვის დასაშვებია შეღავათიანი სწავლის საფასურის პროგრამის გავლის პერიოდში, ყოველთვიურად ნაწილ-ნაწილ გადახდა, ხოლო საფასურის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში დაექვითოს ბსუ-ში გასაცემი შრომის ანაზღაურებიდან (პროგრამით გათვალისწინებული საკონტაქტო საათების შესრულების შემდეგ).
4. 2023 წელს შექმნილ ინგლისური ენის ჯგუფებში ჩარიცხულმა დასაქმებულებმა (მსმენელებმა), რომლებმაც არ დაასრულეს (შეწყვიტეს) სწავლა ინგლისური ენის ჯგუფში საკუთარი სურვილით (დროის უქონლობის ან სხვა მიზეზით), სრულად არ გადაუხდიათ პროგრამაზე სწავლის საფასური და დავალიანება ექვემდებარება მათი შრომის ანაზღაურებიდან დაქვითვას, **მიეცეთ შესაძლებლობა 2024-2025 წლებში გააგრძელონ სწავლა შესაბამისი დონის ჯგუფებში,** დამატებითი სწავლის საფასურის დარიცხვის გარეშე (აღნიშნული უფლების გამოუყენებლობის შემთხვევაში 2023 წელს დარიცხული სწავლის საფასურის დაქვითვა მათი შრომის ანაზღაურებიდან განხორციელდეს 2024 წელს შექმნილ ჯგუფებში მეცადინეობის დასრულების შემდეგ);
5. ბსუ-ს რექტორის ბრძანებით მსმენელის ამორიცხვა მსმენელთა ჯგუფიდან (სტატუსის შეწყვეტა), მას არ ათავისუფლებს დარიცხული სწავლის საფასურის გადახდისაგან.
6. პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უცხო ენების მიმართულების კოორდინატორს დაევალოს:

   ა) მსმენელებთან შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმება (რომელშიც უნდა აისახოს სწავლის საფასურის გადახდის წინამდებარე ბრძანებით დადგენილი ვადა);

   ბ) მსმენელთა ჩარიცხვისა და პერსონალის მოწვევის შესახებ სამართლებრივი აქტების პროექტების წარმოდგენა;

   გ) მსმენელთან გაფორმებული ხელშეკრულებათა აღრიცხვის ჟურნალის წარმოება;

   დ) სასწავლო პროცესის დაწყებისა და მსმენელთა მიერ ამ ბრძანებით დადგენილ ვადებში სწავლის საფასურის გადახდის შესახებ ინფორმაციის და სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ საბოლოო ანგარიშის (მათ შორის სწავლის საფასურის გადახდის შესახებ ინფორმაციის) წარმოდგენა;

   ე) ბსუ-ს პროფესიული მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულებით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება.
7. **ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი** „ბსუ-ს უცხო ენების მოკლევადიან საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ **ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 14 მარტის N01-10/38 ბრძანება.**

8. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს: საინფორმაციო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უცხო ენების კოორდინატორს.
9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **მ. დიასამიძე**